პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 30 მაისი, 1944 წ. № 108 (7052). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მომზადებული შევხვდეთ მოსავლის აღებას. მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 28 და 29 მაისის ოპერატიული ცნობები (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. გერმანელი გენერალი საბჭოთა ფრონტზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების ზარალისა და დამარცხებათა შესახებ (მე-2 გვერდი).

საქართველოს აკკ თბილისის ორგანიზაციის XXIII საქალაქო კონფერენცია (1-ლი გვერდი).

სპორტული დღე თბილისში (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები. საბჭოთა ქალაქების გმირული დაცვისადმი მიძღვნილი გამოფენა ლონდონში (მე-2 გვერდი).

ფინეთის საკონცენტრაციო ბანაკებში საბჭოთა ადამიანებისადმი ტერორული რეჟიმია შექმნილი (მე-2 გვერდი).

საომარი მოქმედება იტალიაში (მე-2 გვერდი).

მოკავშირეთა ჯარები რომიდან 16 მილზე იმყოფებიან (1-ლი გვერდი).

ამერიკის ბომბდამშენების თავდასხმა გერმანიის საავიაციო ქარხნებზე (1-ლი გვერდი).

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმა ვინერ-ნოიშტადტზე (1-ლი გვერდი).

ბულგარეთში მთავრობის კრიზისი გრძელდება (1-ლი გვერდი).

მომზადებული შევხვდეთ მოსავლის აღებას

დიდი სტალინის საპირველმაისო ბრძანების პასუხად საქართველოს საკოლმეურნეო სოფელში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლის მოსაყვანად. მთავრდება საგაზაფხულო საგვიანო კულტურების თესვა. საგაზაფხულო სამუშაოები გასულ წლებთან შედარებით უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს. ადგილებიდან მოდის სასიხარულო ცნობები, რომ პურეულის მოსავალს კარგი პირი უჩანს. კიდევ რამდენიმე დღე და თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება დაიწყება. ამჟამად კი პირველხარისხოვანი ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ პურეულის მოსავლის აღებას.

მარცვლეულის მეურნეობაში ყველაზე პასუხსაგები საქმე მოსავლის აღებაა. ვადები და ხარისხი გადამწყვეტია იმისათვის, რომ მთელი მოსავალი უდანაკარგოდ ავიღოთ.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. დროზე აიღებ — მოიგებ, დაგაგვიანებ მოსავლის აღებას — წააგებ“.

მოსავლის აღებისათვის კარგად მომზადება თავიდან აგვაცილებს დანაკარგებს და, მაშასადამე, მეტ პურს მივაწვდით ჩვენს ქვეყანას, წითელ არმიას, რომელიც გმირულ ბრძოლას ეწევა ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მოსავლის ასაღებ ძირითად მანქანას კომბაინი წარმოადგენს.

კომბაინი გვეხმარება დროზე ავიღოთ მოსავალი.

კომბაინი დიდძალ დანაკარგს გვაცილებს თავიდან.

კომბაინი ამსუბუქებს მუშახელისა და მუშა-საქონლის მხრივ დაძაბულ მდგომარეობას.

საქართველოში თავთავიანი მარცვლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი კომბაინებით იქნება აღებული. აქედან ცხადია, რომ კომბაინების პარკის კარგად მომზადებაზე ბევრად არის დამოკიდებული მოსავლის სწრაფად აღება.

წნორის მტს-ს 20 მაისისათვის შეკეთებული ჰქონდა 21 კომბაინი — გეგმის 80,8 პროცენტი. ეს წარმატება აქ იმით მოიპოვეს, რომ სარემონტო სახელოსნოში შრომა კარგად არის მოწესრიგებული, ძველი გამოცდილი კადრები დიდ დახმარებას უწევენ რემონტზე მომუშავე ახალგაზრდა კადრებს სპეციალობის ორმად დაუფლებაში. სახელოსნოში მოწყობილია ორცვლიანი მუშაობა. დაზგები მთლიანად არის გამოყენებული. მტს-ის მუშაკებმა თავისი ძალებით მოაწყეს კომბაინის მთელი რიგი სათადარიგო ნაწილების აღდგენა და დამზადება. წნორის მტს-ი გამონაკლისს როდი წარმოადგენს.

მაგრამ საერთოდ რესპუბლიკაში, კომბაინების რემონტი ჯერჯერობით დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს. რემონტის დამთავრების ვადები იწურება, ხოლო მთელი რიგი მტს-ები ჯერ კიდევ ვერ იჩენენ ინიციატივას ადგილზე დაამზადონ სათადარიგო ნაწილები. უმთავრესად ამით აიხსნება ის, რომ აგარის, შინდისის, ახალსოფლის, გურჯაანის, ულიანოვკის და წითელწყაროს მტს-იბს 25 მაისისათვის არც ერთი კომბაინი არ ჰქონდათ გამოშვებული რემონტიდან. ეს კი საფრთხეს უქმნის მოსავლის თავის დროზე აღებას. მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ ამ ჩამორჩენის უახლოეს დღეებში გამოსასწორებლად. საჭიროა ადგილებზე მათ მეტი უნარი გამოიჩინონ სათადარიგო ნაწილების აღდგენისა და დამზადების საქმეში, რემონტზე მომუშავეებს შეუქმნან ყველა პირობა მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის, გადაჭრით გაუმჯობესონ სარემონტო სახელოსნოებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კომბაინების რემონტის ხარისხს. შეკეთებული კომბაინების მისაღებად რაიონებში შექმნილია სახელმწიფო კომისიები. ამ კომისიების მოვალეობაა საფუძვლიანად შეამოწმონ თვითეული კომბაინი, სახელმწიფო კომისიებიս წევრები მანქანის მიღებისას ხელს აწერენ აქტს. ეს მათ ავალებს განიძიგვანონ მეტი პასუხისმგებლობის გრძნობით და მიიღონ მხოლოდ კარგად შეკეთებული მანქანები.

დიდი მოვალეობა აკისრიათ ჩვენს სამრეწველო საწარმოებს, რომლებსაც დავალებული აქვთ კომბაინებისა და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების სათადარიგო ნაწილების დამზადება. ყველა საწარმო ვალდებულია დროულად შეასრულოს ეს დაკვეთები და ამით დახმარება გაუწიოს სოციალისტურ სოფელს.

ამასთან ფართოდ უნდა გავშალოთ მუშაობა მოსავლის ასაღები შარტიები მანქანების, სალეწი მანქანების, ლოკომობილების, ავტომანქანიისა და მოსავლის ხელით ასაღები ინვენტარის სრულ წესრიგზე მოსაყვანად. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა ამავე დროს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მექანიზატორთა კადრების დროულად შერჩევას და გადამზადებას.

კომბაინების, რთული სალეწი მანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მთავრობამ დააწესა მიეცეთ ჯილდო მტს-ების დირექტორებს და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მექანიკოსთა კადრებს. ეს დიდი სტიმულია მოსავლის ასაღები ინვენტარის რემონტის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

მოსავლის უდანაკარგოდ აღების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ავრეთვე მარცვალსაჭირების მოწყობა კომბაინებსა და მარტივ მანქანებზე. თავთავების მოთოკვნა ცხენისა და ხელის ფოცხით. პურეულის მთელი მოსავალი ისე უნდა ავიღოთ, რომ ერთი კილოგრამი მარცვალიც არ დავკარგოთ.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება პურეულის აღების დაწყების პირველი დღეებიდანვე უნდა დავიწყოთ. მოსავლის თავის დროზე და წარმატებით აღება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, დამზადებათა სახელმწიფო გეგმების შესრულება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, სამხედრო-სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს.

თავის დროზე და მაღალხარისხოვნად მოვამზადოთ მანქანები, საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალები დავიზრუნოთ მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის, — ამას მოითხოვს საბჭოთა სამშობლოსა და ფრონტის ინტერესები. ეს იქნება საქმით პასუხი ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ საპირველმაისო ბრძანებაზე.

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა ჯარები რომიდან 16 მილზე იმყოფებიან

ლონდონი, 29 მაისი (საკადესი). რეიტერის საagენტის ნეაპოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის მე-5 არმიის ნაწილები, რომლებიც კამპანელეს (ველეტრისა და სანაპიროს შუა) სამხრეთით ეტევენ, ამჟამად რომიდან 16-ნახევარ მილზე იმყოფებიან.

ამერიკის ბომბდამშენების თავდასხმა გერმანიის საავიაციო ქარხნებზე

ლონდონი, 29 მაისი (საკადესი). ოპერაციების ევროპის ასპარეზზე მოქმედი ამერიკელთა სტრატეგიული სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბი იუწყება, რომ „მფრინავი სიმაგრისა“ და „ლიბერეიტორის“ მარკის ბომბდამშენთა მეტად დიდი შენაერთები 1.200-ზე მეტი ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხნენ საავიაციო ქარხნებს პოზნანში, ლაიპციგში, ტეტოვში (როსტოკის სამხრეთ-აღმოსავლეთით), კოტბუსში (95 მილზე ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით) და ზორაუში (130 მილზე ბერლინის სამხრეთით).

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმა ვინერ-ნოიშტადტზე

ლონდონი, 29 მაისი (საკადესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ დღეს მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციის დიდმა შენაერთებმა დაბომბეს ორი საავიაციო ქარხანა ვინერ-ნოიშტადტში (ვენის სამხრეთით). ბომბები დააყარეს ავრეთვე ამ რაიონში მდებარე აეროდრომებს. გარდა ამისა, დაბომბვა განიცადა საავიაციო ქარხანამ ატაგენსდორფში (ვენის სამხრეთ-დასავლეთით). თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა 750-მდე მძიმე ბომბდამშენი.

იმავე დღეს „ლიბერეიტორის“ მარკის ბომბდამშენები ორჯერ დაესხნენ თავს გერმანელთა ჯარების თავმოყრის პუნქტებს იუგოსლავიაში.

ბულგარეთში მთავრობის კრიზისი გრძელდება

სტამბოლი, 28 მაისი (საკადესი). როგორც შავე ვიუწყებოდით, კალფოვმა კაბინეტის შედგენა ვერ მოახერხა, და, აქ არსებული ცნობებით, ეს ამოცანა მიენდო ბულგარეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბოჟილოვს.

დღეს აქ შეიტყეს, რომ ბოჟილოვის ცდა შეედგინა ახალი კაბინეტი ავრეთვე მარცხით დამთავრდა.

სტამბოლი, 28 მაისი (საკადესი). ჰიტლერულმა სააგენტომ — გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გადასცა ცნობა ბულგარეთში არსებული მდგომარეობის შესახებ; ამ ცნობიდან ცხადი ხდება, თუ სახელდობრ რის მიღწევას ცდილობენ ამჟამად ჰიტლერელები ბულგარეთში. სააგენტო აცხადებს, რომ ბულგარეთში დაიწყო „ყველა აქტიური ძალთა მობილიზაცია“. ამასთან „პირველ პლანზე გამოიწიეს თადარიგის ოფიცერთა ორგანიზაციები, ახალგაზრდობის ორგანიზაცია „ბრანიკი“ და ახლად შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაცია „ბულგარეთის სახალხო კავშირი“. ჰიტლერელთა განცხადებით, ამ ორგანიზაციების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ „მოვეზადონ ომის გადამწყვეტი ეტაპისათვის“ და „ლიკვიდაცია უყონ სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრულად განწყობილ ყველა ელემენტს, რომლებიც ბულგარეთის სხვადასხვა ადგილას არსებობენ“.

ამრიგად, ჰიტლერელები ამჟამად ცდილობენ გააერთიანონ ყველა ფაშისტური და პროგერმანული წრე ბულგარეთში, ხელისუფლების სათავეში ჩაიყენონ ისინი და მათი დახმარებით მიაღწიონ ყველა დემოკრატიულ და ანტიჰიტლერულ ძალთა განადგურებას. ამ გზით ჰიტლერელები ვარაუდობენ ანგარიშს გაუწევრონ ბულგარელ ხალხს ისე, რომ არ მიმართონ ჰიტლერელთა ჯარების მიერ ბულგარეთის ოფიციალურ სრულ ოკუპაციას, და სავსებით ჩაითრიონ ბულგარეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 მაისის ოპერატიული ცნობიდან

28 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 14 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა გემებმა ფინეთის ყურეში ჩასძირეს გერმანელთა წყალქვეშა ნავი

ამ დღეებში წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის გემებმა, რომლებიც დაზვერვაზე იმყოფებოდნენ ფინეთის ყურის ერთ-ერთი კუნძულის მახლობლად, მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავი შეამჩნიეს. ჩვენმა გემებმა მყისვე მიიტანეს იერიში და ჩასძირეს გერმანელთა წყალქვეშა ნავი.

29 მაისის ოპერატიული ცნობა

29 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

28 მაისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 33 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ მასირებულად დაარტყა მოწინააღმდეგის აეროდრომებს

დღეს დილით ჩვენმა ავიაციამ მასირებულად დაარტყა მოწინააღმდეგის აეროდრომებს ქალაქების რომანისა და ხუშის რაიონში (რუმინეთი). თავდასხმის მომენტში ამ აეროდრომებზე იმყოფებოდა გერმანელთა ბევრი თვითმფრინავი. ჩვენმა მფრინავებმა ჩაანგრიეს

ქალაქ ლუცკის ჩრდილო-დასავლეთით ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ იერიში მოიტანა ჩვენს ქვეგანაყოფზე. დიდი ზარალის ფასად გერმანელებმა მოახერხეს საბჭოთა თავდაცვის წინააღმდეგ 3 ოთახლიანი ბოლოდნენ და სანგრებში შემოკრილიყვნენ. განაღდა ხელჩართული შეტაკება. ამ დროს ბრძოლის ადგილს მიაღწია მეავტომატეთა ასეულმა კაპიტან გოლოვანოვის მეთაურობით და კონტრიერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე. გერმანელებმა სანგრებში 40 გვამი და 70-ზე მეტი დაჭრილი ჯარისკაცი მიატოვეს და სასწრაფოდ უკან დაიხიეს. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს ნაღმსატყორცნი, 6 ტყვიამფრქვევი და 52 შაშხანა.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰიტლერელთა რაზმებმა სცადეს ბრძოლით დაზვერვა ლიანდაგიდან გადაადგილ მოწინააღმდეგის 18 სამხედრო ეშელონი. გზატკეცილებსა და ყამირგზებზე პარტიზანებმა აფეთქეს ორი ხიდი, მოსპეს გერმანელთა 4 მსუბუქი და 69 სატვირთო ავტომანქანა. / მოწინააღმდეგესთან ბრძოლებში და საფრენიდან მოყლეულია 150-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 12 ტყვე.

* * *

როგორც უფრო ადრე ეუწყებოდით, ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბარლაგიდენი არიან დნესტრის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქ ტირასპოლის ჩრდილო-დასავლეთით, მაისის პირველ ნახევარში წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის

საზენიტო არტილერია და რამდენიმე მიფრენით ბომბებითა და ზარბაზან-ტყვიამფრქვეკის ცეცხლით მოსპეს და დააზიანეს მოწინააღმდეგის სულ მცირე 60 თვითმფრინავი.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

* * *

გის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ძალების ავრიშები, აი რას ამბობენ ტყვედ წაყოყვანილი გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც ამ ბრძოლებში მონაწილეობდნენ.

ტყვედ წაყოყვანილმა გერმანელთა 55-ე ქვეითი პოლკის მე-8 ასეულის ფელდფებელმა რიპარდ ჰესმა გვაცნობა: „დივიზიის მეთაურმა გენერალ-ლეიტენანტმა ციმერმა წაგვიკითხა სარდლობის შემდეგი ბრძანება: „დღის ბოლოსათვის ლიკვიდაცია უყავით რუსების ბიდწინა სიმაგრეს და ისინი დნესტრს გაღმა გადაჰყარეთ“. იერიშის წინ ჯარისკაცებს გასამხნევებლად არაყი მასცეს. ჩემი ოცეული ტანკსაწინააღმდეგო თხრილთან უნდა მისულიყო და ეს ხელოვნ მაშველი ძალების მოსვლამდე შეენარჩუნებინა. ტანკსაწინააღმდეგო თხრილამდე ჩვენ მშვიდობით მივედით, მაგრამ იქიდან წასვლა კი ვერც მე მოვახერხე და ვერც ჩემმა ჯარისკაცებმა. რუსები მოულოდნელად გარს შემოგვერტყნენ და ტყვედ წამოგვიყვანეს“.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 21-ე ქვეითი პოლკის უმცროსმა ექიმმა ჰანს პფაენენმულერმა გვაცნობა: „უნაყოფო იერიშებმა ჩვენ ძალიან დიდი ზარალი მოგვიყენა. როდესაც რუსები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ, ცოცხლად გადარჩენილი ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი გაიქცა. შესახვევი პუნქტის პერსონალმაც ბედის ამბარა მიატოვა დაჭრილები და აქეთ-იქით გაიქცა. მე და ფელდფებელი შეფანველი დაჭრილებისადმი რუსებმა ტყვედ წამოვიყვანეს“.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მე-3 სატანკო დივიზიის მე-6 სატანკო პოლკის მე-6 ასეულის ეფრეიტორ-რადისტმა რუდი ბიერენმეიერმა გვაცნობა: „ბიმფინარე წლის გაზაფხულზე უკანდახევის დროს ჩვენმა დივიზიამ თითქმის მთელი თავისი ტექნიკა დაკარგა. 6 მაისს დივიზიამ ახალი მატერიალური ნაწილი მიიღო. სამი დღის განმავლობაში ჩვენ ვცდიდით მარკანებს და საცდელ სროლას ვეწეოდით. ათ მაისს საღამოს ასეულის ეთეთრმა ობერ-ლეიტენანტმა ფელდჰაიმმა ჰოელი პირადი შემადგენლობა შეჰკრიბა და წაგვიკითხა ბრძანება შეტევის შესახებ. განთიადისას ტანკები რუსების პოზიციებისკენ დაიძრნენ. ჩვენ მოგვიხდა ერთხელ კიდევ გამოგვეცადა ჩვენს თავზე რუსების არტილერიის ძალა და ძლიერება. ნახევარი საათის განმავლობაში მწყობრიდან გამოვიდა 27 ტანკი. ჩემს ტანკს ყუმბარის პირდაპირი მოხვედრებით ცეცხლი გაუჩნდა. ტანკის მეთაური უნტერ-ოფიცერი პეტერსი, კოშტერის მსროლელი ინერტი და მსროლელი შეფცერი ო�ეტენენ. მე კი ტყვედ დავნებდი. ტყვეების მხრივ დიდი ზარალისა და ადამიანთა მხრივ მძიმე მსხვრევის გარდა ამ ოპერაციას არაფერი არ მოუცია“.

დამასასიათებელია, რომ ამ ბრძოლებში საბჭოთა მხრივ მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ უმნიშვნელო ძალები,—უმთავრესად არტილერია, ნაღმსატყორცნები და ქვეითი ჯარის მოწინავე ქვეგანაყოფები მაგრამ, როგორც ტყვეები აჩვენებენ, გერმანელებს ძალიან დაეოდათ თავიანთი ცდა—ლიკვიდაცია ეყოთ საბჭოთა ჯარების ბიდწინა სიმაგრისათვის დნესტრზე.

ინჟინერ ილია გრიგოლის-ძე სარჯველაძის დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალური მშენებლობის დარგში მთავრობის დავალებათა სანმიუშოდ შესრულებისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა მეტროშენის, სსრ კავშირის

სრულიად-საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

მოწინავეა გროსმაისტერი სმისლოვი

სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის მეხუთე ტურში, რომელიც 27 მაისს შესდგა, გროსმაისტერმა სმისლოვმა მოუგო ტოლუშს, თავის ანგარიშზე კიდევ ერთი ქულა დაიწერა და მტკიცედ დაიმკვიდრა ლიდერის ადგილი ტურნირში.

ოსტატმა ალატორცევმა და გროსმაისტერმა ფლორმა ამ დღეს თავისებური რეკორდი დამყარეს. მათი შებმა ყაიმით დამთავრდა მე-18 სვლაზე.

გროსმაისტერმა ბოტვინიკმა გამარჯვება ზოიპოვა ოსტატ ხავინთან. სოკოლსკიმ მოუგო ბრონშტეინს. დანარჩენი 4 პარტია გადადებულია.

გროსმაისტერმა კოტოვმა გოთამაშებლად დასთმო მესამე ტურში გადადებული პარტია გროსმაისტერ სმისლოვთან. ამრიგად, სმისლოვს 5 ქულა აქვს 5 შესაძლებელში. ეს არნახული შედეგია ესოდენ ძლიერი შეჯიბრებისათვის.

* * *

28 მაისს დაასრულეს უკანასკნელ სამ ტურში დაუმთავრებელი პარტიები. ოსტატმა რაგოზინმა ზუსტად გამოიყენა თავისი მატერიალური უპირატესობა გროსმაისტერ ფლორის წინააღმდეგ და მოიგო პარტია მე-48 სვლაზე.

ბოლესლავსკიმ მოუგო კოტოვს, ხავინმა ლისიცინს. ყაიმით დამთავრდა ლილიენტალ-რავინსკის, ლისიცინ-ბრონშტეინის და რაგოზინ-ბოლესლავსკის პარტიები. გოთამაშებლად დასთმეს თავიანთი უიმედო პარტიები ვერესოვმა ლისიცინთან და ალატორცევმა ხავინთან და ვერესოვთან.

თითქმის 6 საათს გრძელდებოდა გროსმაისტერ ბოტვინიკის ბრძოლა რავინსკისთან. ორივეს თითო ლაზიერი და 4-4 პაიკი ჰქონდათ. ბოლოს, ბოტვინიკმა მოქნილი მანევრებით შესძლო ჩაეყენებინა რავინსკის შეფე მძიმე მდგომარეობაში და მოეგო პაიკი, ყველა დანარჩენი ფიგურები კი გასცვალა. პარტია კვლავ გადადებულია ისეთ პოზიციაში, როცა ბოტვინიკის ლაზიერი და პაიკი იბრძვიან რავინსკის ჰარტოოდენ ლაზიერის წინააღმდეგ.

მეორეჯერ გადაიდო აგრეთვე კოტოვ-ბიკენსკის პარტია. შავებს აქვთ ეტლი მხედრისა და პაიკის სანაცვლოდ და მოგების დიდ შანსებს ინარჩუნებენ.

ხუთი ტურის შემდეგ წინ მიდიან: სმისლოვი, რომელსაც ხუთი ქულა აქვს ხუთიდან, ბოტვინიკი—2,5 3-დან და 2 დაუმთავრებელი პარტია, ლისიცინი და ხავინი—3-3 5-დან, ბოლესლავსკი—2,5 4-დან, ალატორცევი და რაგოზინი—თვითეულს 2,5 5-დან და ა. შ. გროსმაისტერებს ლილიენტალსა და ფლორს, ავრეთვე დასახურებულ ოსტატს მაკოგონოვს თვითეულს აქვს მხოლოდ ერთნახევარი ქულა 4-დან. ამასთან ფლორს აქვს ერთი დაუმთავრებელი პარტია მოსაგებ მდგომარეობაში. (საკადესი).

საქართველოს აკკ თბილისის ორგანიზაციის XXIII საქალაქო კონფერენცია

27 მაისს ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს აკკ თბილისის ორგანიზაციის XXIII საქალაქო კონფერენცია.

„კონფერენციის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, გ. სტურუა, ვ. ბუჯიაშვილი, ს. იშხანოვი, გ. გოჩაშვილი, ე. ჩერქეზიანი, ვ. ხატიაშვილი, მ. ბალავაძე, გ. ინანიშვილი, კ. ფერიჟენკო, ჯ. ხიზანიშვილი და სხვები.

არჩეულ იქნა კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოები.

შემოდის წინადადება არჩეულ იქნას საპატიო პრეზიდიუმი.

— დიდი სტალინი!

კონფერენციის დელეგატები უდიდესი აღფრთოვანებით, ფეხზე ამდგარნი, ხანგრძლივი ოვაციით გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ხალხთა დიდი მეგობრისადმი, ახალგაზრდობის მეგობრის ამხანაგ სტალინისადმი, რომლის გენიალური ხელმძღვანელობით გმირი წითელი არმია მტერთან ბრძოლაში უმაგალითო გამარჯვებებს აღწევს, დასავლეთისაკენ მიეჩქეფება და სპობს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

საპატიო პრეზიდიუმში აგრეთვე ერთსულოვნად ირჩევენ დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლებს ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვს, კ. ე. ვოროშილოვს, მ. ი. კალინინს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ა. ანდრეევს, ა. ი. მიკოიანს, ა. ა. ჟდანოვს, ნ. ხ. ბულგანინს, ლ. პ. ბერიას, ნ. მ. შვერნიკს, გ. მ. მალენკოვს, ა. ხ. შჩერბაკოვს, ნ. ა. ვოზნესენსკის.

კონფერენციის დღის წესრიგის პირველ საკითხზე—საქართველოს აკკ თბილისის კომიტეტის ანგარიში—მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. ა. შენგელიას.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ მუშაობის შესახებ, რაც საანგარიშო პერიოდში განხორციელა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფრონტის დასახმარებლად, ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებლად, კომკავშირის რიგების ზრდისა და ახალმოღუღუნთა შორის მუშაობის დარგში, ახალგაზრდობის საბჭოდრო-ფიზკულტურული აღზრდისათვის; აღნიშნა ავრეთვე ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ აქვს თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციას თავის მუშაობაში.

შემდეგ მოსმენილ იქნა საარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ო. კერძაიას მოხსენება.

დაიწყო კამათი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს აკკ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანს ამხ. კ. დომენიას. მან კონფერენციას მოუთხრო იმ შრომითი მობილიზაციისა და ინიციატივის შესახებ, რაც სამამულო ომის დღეებში გამოიჩინა რაიონის ახალგაზრდობამ კომკავშირის მეთაურობით.

კიროვის სახელობის ქარხნის ახალგაზრდული და ფრონტული ბრიგადები გამოვიდნენ წითელი არმიის XXVI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXIII წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად. ამ ინიციატივას რაიონის ყველა კომკავშირული ორგანიზაცია გამოეხმაურა. გაჩაღდა შეჯიბრება. შეჯიბრების დღეებში რაიონის ახალგაზრდობამ 1.080.356 ჰექტეფის პროდუქცია მისცა ქვეყანას გეგმის გადამეტებით. პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს მასობრივი პოლიტიკური მუშაობა, ახალ წარმატებებს აღწევენ ფრონტისადმი დახმარების საქმეში. კომკავშირელი აგიტატორების საუბრები რაზმავენ ახალგაზრდობას მაღალნაყოფიერი შრომისათვის. ამხ. დომენია ლაპარაკობს იმ მზრუნველობის შესახებ, რასაც უწევენ რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები ფრონტელთა შვილებს და უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს.

ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ კომკავშირული კომიტეტის მოიგანმა ამხ. ნ. სვიდრუკმა კონფერენციას მოუთხრო, თუ რა მუშაობას ეწევა ახალგაზრდობა შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისათვის და როგორ ახდენს პროფესიების შეთავსებას. მანვე აღნიშნა ახალმოსულ მუშებთან კომკავშირული ორგანიზაციის სუსტი მუშაობა და კომკავშირის რიგების არადამაკმაყოფილებელი ზრდა ფაბრიკაში.

— ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ ყოველმხრივ დავეხმაროთ ფრონტისადმი ხელმძღვანელობას, პროფესორ-ლექტორებს ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებაში,—სთქვა სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირული კომიტეტის მდივანმა, ამხ. ა. ქვარცხავამ.—ჯაზარდა კომკავშირელ სტუდენტთა ავანგარდული როლი, მათი წარმატება სწავლაში. ბევრი კომკავშირელი სტალინური სტიპენდიანტია. მაგრამ რა არის ჩვენი მუშაობის ნაკლი? ის, რომ დღემდე არასაკმაო ღონისძიებას ვატარებდით ლექციების გაკვლენისა და უდისციპლინობის აღმოსაფხვრელად.

ამხ. სკაზოვცევის შემდეგ სიტყვა ეძლევა კომკავშირის 26 კომისრის რაიკომის მდივანს ამხ. ს. პაპაიანს. მან ილაპარაკა სამამულო ომის დღეებში რაიონის ახალგაზრდობის პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ზრდაზე. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად კომკავშირის რიგებში მიღებულია 3.421 ახალგაზრდა. კარგად მოაწყეს ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ნაგთლუღის რკინიგზის კვანძის, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის და სხვ. პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ამასთან ამხ. პაპაიანმა სამართლიანად გააკრიტიკა კომკავშირის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობა, ვინაიდან იგი სუსტად ეხმარება კომკავშირულ ორგანიზაციებს ლექციებისა და მოხსენებების მოწყობაში. კომკავშირის თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები იშვიათად გამოდიან ახალგაზრდობაში მოხსენებებით პოლიტიკურ თემებზე. არადამაკმაყოფილებელია სასკოლო განყოფილების დახმარებაც. პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებად უმთავრესად ახალი ამხანაგები მუშაობენ. მათ ჯერ კიდევ არა აქვთ კომკავშირული მუშაობის სათანადო გამოცდილება და ამიტომ მეტი დახმარება სჭირდებათ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება კი მათ სუსტად ეხმარება. ცუდად მუშაობს ამ მხრივ რაიკომიც. მეტი დახმარებაა საჭირო კომკავშირის თბილისის / კომიტეტის ბუშა-ახალგაზრდობის განყოფილების მხრივაც.

სამედიცინო ინსტიტუტის კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. მაღრაძემ ილაპარაკა ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ადგილი აქვს სტუდენტთა მიერ ლექციების გაკვლენას, დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არა დგას სტუდენტ ახალგაზრდობას შორის მუშაობა.

— სამაისოდ ნაკისრი ვალდებულება რაიონის ახალგაზრდობამ წარმატებით გაანალდა,—სთქვა კომკავშირის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. გოგიჩაიშვილმა.—კარგად მუშაობენ კალინინის სახელობის ქარხნის ახალგაზრდული და ფრონტული ბრიგადები. ქარხნის კომკავშირულმა ორგანიზაციამ კარგად დააყენა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა. ამხ. გოგიჩაიშვილმა გააკრიტიკა კომკავშირის თბილისის კომიტეტის არასაკმაო ხელმძღვანელობა და დახმარება პირველადი ორგანიზაციებისადმი. რაიონის ისეთ წამყვან საწარმოში, როგორიცაა მაუდის ფაბრიკა, სად

გერმანელი გენერალი საბჭოთა ფრონტზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების ზურალისა და დამარცხებათა შესახებ

როგორც წინათაც ვიუწყებოდით, უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა 1944 წლის 6-დან 16-მარტამდე სრულიად გაანადგურეს გერმანიის მე-6 არმია გენერალ-პოლკოვნიკ ჰოლიდტისა. თავის გადარჩენა გაქცევით შესძლეს გერმანელთა დამარცხებული შენაერთების მხოლოდ მცირე ნაშთებმა და ზოგიერთმა შტაბმა, რომლებმაც შტაბის დოკუმენტებიც კი ბედის ანაბარად მიატოვეს.

მოწინააღმდეგის იმ დოკუმენტებს შორის, რომლებიც ჩვენ ხელში ჩავიგდეთ, აღმოჩენილია ვრცელი მემორწერა „გერმანელთა მე-16 მოტოდივიზიის მეთაურ გრაფ ფონ შვერინის მიერ დაკავებული პოზიციების თვითნებურად დატოვების შესახებ". მთელი ალიაქოთი ატყდა თებერვლის პირველ რიცხვებში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ ქალაქ კრივოი როგის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ქალაქ ნიკოპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონებიდან, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა და 4 დღის ბრძოლების განმავლობაში, 2-დან 6 თებერვლამდე, დაამარცხეს გერმანელთა ოთხი ქვეითი და სამი სატანკო დივიზია. 30-ე საარმიო კორპუსის მეთაურმა გენერალმა ფრეტერ-პიკომ, რომელიც ცდილობდა კორპუსის განადგურების დანაშაული თავისი ხელქვეითი მე-16 მოტოდივიზიის მეთაურ გენერალ-ლეიტენანტ გრაფ ფონ შვერინისათვის გადაებრალებინა, შუამდგომლობა აღძრა გერმანელთა მე-6 არმიის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ ჰოლიდტის წინაშე ფონ შვერინის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

9 თებერვალს გერმანელთა მე-6 არმიის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ჰოლიდტმა № 132/44 წერილით აცნობა ფონ შვერინს, რომ მას ბრალად ედება პოზიციების თვითნებურად დატოვება, ჰოლიდტმა წინადადება მისცა ფონ შვერინს პოლკოვნიკ მანტეიფელისთვის გადაეცა დივიზია და არმიის მთავარ ბანაკში ახსნა-განმარტება წარედგინა მისთვის წაყენებულ ბრალდებათა გამო.

გენერალმა ფონ შვერინმა 15 თებერვალს შემდეგი პასუხი გაუგზავნა გენერალ ჰოლიდტს (ქვეყნდება რამდენადმე შემოკლებული ტექსტი):

„გენერალ-ლეიტენანტი
გრაფი ფონ შვერინი.
9. 2. 44. წ. № 132/44-ზე. რუსეთი 15. 2. 44 წ.

მე-6 არმიის სარდალს
ბატონ გენერალ-პოლკოვნიკ ჰოლიდტს

...რომ დაბნელდა, როგორც მოველოდით, მოწინააღმდეგე გამოჩნდა დასახლებულ პუნქტებთან და შემოდიოდა მიხაილოვკის სამხრეთ-აღმოსავლეთ შვერილში. სოფელში პანიკა დაიწყო. პანიკა ჩაქრობილ იქნა დივიზიის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის გაბედული ჩარევით, რომელმაც პირადად რამდენიმე ოფიცერთან ერთად მოაწყო კონტრდარტყმა და განდევნა მიხაილოვკის სამხრეთ ნაწილიდან შემოჭრილი მოწინააღმდეგე, შემდეგ კი მოახდინა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთის შვერილის იზოლაცია, რომლის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა.

23.00 საათზე მოწინააღმდეგემ დიდი ძალებით, „ურას" შეძახილებით, იერიში მოიტანა მიხაილოვკის სამხრეთით 81,5 მაღლობზე, გაანადგურა იქ პოზიციებზე მდგარი მე-9 სატანკო დივიზიის საზენიტო ბატარია და განაგრძობდა მოძალებას დასავლეთის მიმართულებით. 306-ე საველე სათადარიგო ბატალიონს, რომელსაც ეს უბანი ეჭირა, არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია...

3 თებერვალს დილით ჩემთან საკომანდო პუნქტზე მიხაილოვკაში გამოცხადდა 156-ე მოტოპოლკის მეთაური პოლკოვნიკი ფიშერი თავისი შტაბის ნაშთებიანად. პოლკოვნიკმა მომახსენა, რომ მისი პოლკი, როგორც ეს უკვე ცნობილი იყო, უკანასკნელი დღეების ბრძოლების მსვლელობაში განდევნილ იქნა აღმოსავლეთისაკენ და, ალბათ, გარშემორტყმულია შოლოხოვოსთანო... ამავე დროს სადგ. აპოსტოლოვოდან ცნობა მივიღე, რომ იქ ჩადიან დივიზიის ყველა ნაწილთა საკმაოდ დიდი დაქსაქსული რაზმები, მართალია, უიარაღოდ და უტექნიკოდ და სავსებით მოქანცულნი...

ბევრი მანქანა დაკარგა ტალახში მიხაილოვკიდან დასავლეთისაკენ უკანდახევის დროს. უკანდახევულმა ქვეითმა ჯარმა დაჰკარგა თავისი უკანასკნელი მძიმე იარაღი და საომარი მასალა.

უკანდახეული ჯარისკაცები მუხლამდე საფლობი ტალახის გამო იმდენად დასუსტდნენ ფიზიკურად, რომ იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი პირადი იარაღი, რათა საერთოდ შესძლებოდათ სიარული. ბევრი ეცემოდა მოქანცულობისაგან და გზაზე რჩებოდა. ამ პირობებში ჯარისკაცები სავსებით დეზორგანიზებული და დემორალიზებული აღმოჩნდნენ. მხოლოდ განთიადისას ტრუდოვაიას ახლოს რკინიგზის ხიდთან მოხერხდა შეგვეგროვებინა ბრძოლისუნარიან ჯარისკაცთა მცირე რაოდენობა, რომელნიც რამდენიმე გადარჩენილი საიერიშო ქვემეხებით მოვიდნენ. ეს იყო მე-60 მოტოპოლკის 40 ჯარისკაცი...

მე ვიპირებდი გავმაგრებულიყავი რკინიგზის ხაზზე იმ იმედით, რომ რუსები ღრმა ტალახის გამო ვერ შესძლებდნენ ჩვენს დევნას დიდი ძალებით. ყოველ შემთხვევაში იმედი მქონდა საკმაო დრო მომეგო, რათა ინგულეცში პოლკოვნიკ ფიშერის მიერ რეორგანიზებულ ნაწილებს გამოეყენებინათ ადგილობრივი ცხენის ტრანსპორტი და წინ წამოსულიყვნენ სანამ რუსები იერიშს დაიწყებდნენ დიდი ძალებით... ამ გეგმის შესრულება მარცხით დამთავრდა".

ორი დღის შემდეგ ფონ შვერინმა დასწერა და გერმანელთა მე-6 არმიის სარდალს გაუგზავნა „ანგარიში მე-16 მოტორიზებული დივიზიის და 123-ე ქვეითი დივიზიის მეთაურისა, რომლებიც გაერთიანებულ იქნენ შვერინის ჯგუფში". ანგარიშს სათაურად აქვს „ფრონტის რღვევა ნოვო-ნიკოლაევკის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში".

ამ ანგარიშში ნათქვამია:

„...123-ე ქვეითი დივიზია შეიძლებოდა ჯერ კიდევ ბრძოლისუნარიანად ჩაგვეთვალა, თუმცა იგი რიცხობრივად დასუსტებული იყო. მძიმე ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ნაკლებობას ანაზღაურებდა არსებული ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნებისა და მე-16 მოტოდივიზიის მოძრავ ჯავშანსაშუალებათა თანამოქმედება. ჯგუფის შტაბის დიდი შეშფოთება გამოიწვია მე-16 მოტოდივიზიის ქვეითი ჯარის მდგომარეობამ. ზაფხულისა და შემოდგომის დიდი ბრძოლების შემდეგ მას ბრძოლიდან გაუსვლელად უნდა ეომნა თავდაცვის მთავარი მიმართულებით; დივიზია სისხლით იცლებოდა და ძლივსღა იბრძოდა. 1944 წლის 20 იანვარს დივიზიის მეთაურმა ამის შესახებ პატაკი წარადგინა, რომელიც მთელი სერიოზულობით იყო შედგენილი. პატაკის დასაბუთებულობა სავსებით სცნო როგორც კორპუსმა, ისე არმიამ. პატაკის ტექსტი დართულია. მაგრამ დივიზიის არავითარი დახმარება არ მიუღია.

123-ე ქვეითი დივიზია 416-ე გრენადერთა პოლკიანად, რომელიც დამარცხებულ იქნა შემოტევის პირველ დღესვე, ძალიან მაგრად იყო პირველ ორ დღეს, ხოლო მისი ზოგიერთი ნაწილი ჩინებულადაც კი იბრძოდა. შემოტევის მეორე დღეს ნოვო-პოდოლსკისაკენ ღრმად და სოლივით შემოჭრა მოხდა 46-ე ქვეითი დივიზიის მარჯვენა ფლანგზე. სოლივით შემოჭრა პროტეის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში მოხდა 416-ე გრენადერთა პოლკის უბანზე, რომელსაც უკვე დაკარგული ჰქონდა ბრძოლისუნარიანობა და რომლის მეთაურიც მოკლულ იქნა ამ ბრძოლებში...

შემოტევის მესამე დღეს მე-16 მოტოდივიზიის ქვეითი ჯარის ძირითადი მასა იმის შედეგად, რომ მოწინააღმდეგემ პავლოპოლიეს გამოვლით პეტროვსკისაკენ სატანკო გარღვევა მოახდინა, მოწყვეტილ და განდევნილ იქნა აღმოსავლეთისაკენ ბუზულუკს იქით. დასავლეთისაკენ გასვლა და თავის გადარჩენა შესძლეს მხოლოდ მე-60 მოტოპოლკის ქვეგანაყოფებმა.., ზემოაღწერილი ამბების დროს დათბა კატასტროფული ბუნების მოვლენის მძვინვარებითა და ძლიერებით. მძიმე 18-ტონიანი საწევრებიც კი ეფლობოდნენ ღრმა ტალახში, ზღვასავით რომ იდგა. უძლურსა და უმწეო ჯარისკაცს უნდა ეყურებინა, თუ როგორ იღუპებოდა მისი იარაღი ბუნების კატასტროფის დროს, ავტომანქანებთან ერთად როგორ იძირებოდა ჭაობში საომარი მასალა, საჭურველი, მთელი ტექნიკა და პირადი ქონება. დიდძალი მანქანა რჩებოდა ღრმა ხევებში და მოწინააღმდეგის მოახლოებისას ცეცხლი სპობდა, რჩებოდა მხოლოდ მძღოლი და ის, რის წაღებაც მას თვითონ შეეძლო.

ასობით ეს დაღლილ-დაქანცული ადამიანი ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა მუხლამდე ტალახში. ისინი მოკლებული იყვნენ ყოველგვარ ხელმძღვანელობას და იქით მიდიოდნენ, საითაც ინსტიქტს მიჰყავდა. კატასტროფის სული დაგვტრიალებდა თავს. იქ, სადაც ისინი მივიდოდნენ, პანიკა და შიშის ზარი მიჰქონდათ. ჯარების ყოველივე სწორი მართვა შეფერხდა და აირ-დაირია, რადგან შტაბის მანქანების, აგრეთვე ტელეფონისა და რადიოქონებიანი მანქანების დაკარგვით მართვის მთელი აპარატი უეცრად გამოყვანილ იქნა მწყობრიდან. ყოველივე ერთად შეიძლება შევადაროთ ისეთ შემთხვევას, როცა ჯარისკაცს ჯერ ფეხებს დაჭრიან, რომ ვეღარ იაროს, შემდეგ ხელებს, რომ ვეღარ იბრძოლოს და, ბოლოს, პირს აუკრავენ, რომ ვეღარ მოუწოდოს და ვერც ბრძანება გასცეს, კატასტროფის წინაშე... ეს საშინელი უმწეობა ყოველ ღონეს უკარგავს ყველას, ვისაც უნდა დაატყდეს თავს ეს კატასტროფა, სულ ერთია ოფიცერი იქნება ის, თუ ჯარისკაცი".

ანგარიშს დართული აქვს 1944 წლის 20 იანვრის ზემოხსენებული პატაკი გენერალ შვერინისა გენერალ ფრეტერ-პიკოსადმი. მოგვყავს ამ პატაკის ტექსტი:

„მე-16 მოტორიზებული დივიზიის საკომანდო
დივიზიის მეთაური. პუნქტი 20. 1. 1944 წ.

30-ე საარმიო კორპუსის მეთაურს
ბატონს არტილერიის გენერალ ფრეტერ-პიკოს.

1944 წლის 19 იანვრის დეპეშასთან დაკავშირებით მოგახსენებთ:

დივიზიამ მთავარი შტაბის ცნობებში თავისი სამგზის მოხსენიება აანაზღაურა სამგზის უაღრესად მძიმე სისხლისმღვრელი ზარალით შარშანდელი ზაფხულის დიდი თავდაცვითი ბრძოლების პერიოდში, როცა დივიზია განუწყვეტლივ მოქმედებდა გადამწყვეტ უბნებზე — მიუსზე, დონეცზე და ზაპოროჟიესთან. ამ ბრძოლებში დივიზიამ 9.411 კაცი დაჰკარგა. ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ დივიზიის მაშინდელ საბრძოლო რიცხვს, იგი სამგზის იქნა განადგურებული... ზაპოროჟიესათვის ბრძოლის დამთავრების შემდეგ დივიზიის აღსადგენი რეზერვები ამოიწურა.

ამ მომენტში — 1943 წლის 20 ოქტომბერი — დივიზია ბრძოლებში ჩაება დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში ისე, რომ შეესება წინასწარ არ მოუღია. 1943 წლის 20 ოქტომბრიდან 1944 წლის 14 იანვრამდე დივიზიამ 5.120 კაცი დაჰკარგა კიდევ მოკლულთა, დაჭრილთა, უკვალოდ დაკარგულთა და ავადმყოფთა სახით და კვლავ განუწყვეტლივ ეწეოდა ბრძოლებს.

ქვეითი ჯარის ნაწილთა საბრძოლო შემადგენლობის ახლანდელი რიცხვის მიხედვით, დივიზიის ზარალი, კვლავ უდრის სულ ცოტა, მის სამგზის მოსპობას. ამრიგად, შარშანდელი ზაფხულის ბრძოლების დაწყებიდან დივიზიის ქვეითმა ჯარმა ექვსჯერ მაინც დაჰკარგა მთელი თავისი პირადი შემადგენლობა.

ამჟამად დივიზია სისხლით არის დაცლილი, ძალიან მემძიმება და გული მტკივა, მაგრამ ჭეშმარიტების შესაბამისად უნდა მოგახსენოთ, რომ... დივიზიის საბრძოლო ღირებულებას დღეისათვის წარმოადგენენ მხოლოდ მისი არტილერია და ჯავშანქვეგანაყოფები. ქვეითს ჯარს აღარ შეუძლია გაუძლოს ძლიერ იერიშებს

გრაფი ფონ შვერინი".

ზემოგამოქვეყნებულ დოკუმენტებს კომენტარიები არ ესაჭიროება. შვერინის საქმის შესახებ მიმოწერა საუკეთესოდ ააშკარავებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელთა ჯარების დამარცხებისა და ზარალის მასშტაბს.

ნადავლი დოკუმენტები კიდევ და კიდევ ამხილებენ გერმანელთა სარდლობის ყალბ ცნობებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე საქმის მდგომარეობის შესახებ. მრავალთვის მანძილზე, შარშანდელი წლის ივლისიდან მოკიდებული, ჰიტლერის ბანაკის ცრუპენტელები საქვეყნოდ გაჰკიოდნენ, რომ გერმანიის არმიას აღმოსავლეთში კი არ ერეკებიან, კი არ უკუაგდებენ დასავლეთისაკენ, არამედ იგი „ნებაყოფლობით" თვითონ იხევს უკან, „ამოკლებს" ფრონტს, „გეგმაზომიერ" უკანდახევას ახორციელებსო. გენერალი ფონ შვერინი — მოწმე და მონაწილე ბრძოლებისა, თავის ოფიციალურ პატაკებში სულ სხვა სიტყვებს ხმარობდა. იგი სწერდა „გერმანელთა ფრონტის რღვევაზე", „კატასტროფაზე", „მკვეთრ უღონობასა" და სხვა ამგვარ რამეებზე.

ჰიტლერის ბანაკის ცრუპენტელები განუწყვეტლივ გაიძახოდნენ, რომ გერმანიის არმია უკანდახევით ინარჩუნებს და ინახავს თავის ადამიანთა ძალებსა და ტექნიკას. თუ რა მოუვიდა გერმანელთა დივიზიებს განუწყვეტელი უკანდახევის თვეებში, ამის დანახვა შეიძლება იმავე მე-16 მოტორიზებული დივიზიის მაგალითით. ამ დივიზიის მეთაურ გენერალ გრაფ ფონ შვერინის მოწმობით, იგი, იანვლისდან მოკიდებული იანვრამდე, თითქმის ყოველთვიურად ჰკარგავდა მთელ პირადს შემადგენლობას. ორი თვეც არ გასულა, რომ გერმანელთა მე-16 მოტოდივიზიის ბედი ეწია გერმანელთა მთელ მე-6 არმიას. ასეთივე ბედი ეწია გერმანელთა ბევრ სხვა დივიზიასაც. ნებით თუ უნებლიეთ გრაფი ფონ შვერინი უაღრესად მდარე ხარისხის სიცრუეში ამხილებს ჰიტლერის ბანაკსა და გერმანელთა სარდლობას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო



სასპორტო დღე თბილისში. სურათზე: (ზემოდან) ფიზკულტურელ ქალთა პარადი. სასპორტო გამოსვლები „დინამოს" სტადიონზე. ლ. პ. ბერიას სახელობის კროსი.
ფოტო ვლ. გინზბურგისა და ი. გორბატიუკისა.

სასპორტო დღე თბილისში

„დინამოს" სტადიონზე

28 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შესდგა დიდი სასპორტო-ტანვარჯიშული ზეიმი. ზეიმში მონაწილეობდნენ სპორტის ოსტატები, I და II თანრიგის სპორტსმენები და აგრეთვე თბილისის ყველა უმაღლესი სასწავლებლის ახალგაზრდა ფიზკულტურელები.

სრულ 4 საათზე დაიწყო ფიზკულტურელთა აღლუმი. შემდეგ დაიწყო თავისუფალი ვარჯიში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ასეულობით ახალგაზრდა ფიზკულტურელებმა. მოედანზე გამოვიდნენ I თანრიგის ტანმოვარჯიშენი. რომლებმაც მეასრულეს ვარჯიშობანი ორძელზე. ქალთაგან აღსანიშნავი იყო საქართველოს ჩემპიონი ქოიავა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სპორტის ოსტატთა გამოსვლამ ღერძზე ვარჯიშობის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ ჯორჯაძე, კასიანიკი, ახვლედიანი, თაყაიშვილი, კიკნაძე და სხვები. ტანმოვარჯიშეები შესცვალეს აკრობატებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდა ქელესსიშვილი.

საინტერესოდ ჩატარდა შვიდური „ამანათრბენა, რომელშიც ერთმანეთს ეცილებოდნენ ქალაქის I, II და III ნაკრები გუნდები. ქალაქის I ნაკრები გუნდის მორბენალებმა 1.500 მეტრი დაჭფარეს 3 წუთსა და 47 წამში და აიღეს პირველი ადგილი.

დასასრულს, ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის „დინამოს" და ფთილი არმიის თბილისის სახლის ფიზბურთელები. მატჩი დამთავრდა 2:0 ბათუმის „დინამოს" სასარგებლოდ.

ბერიას სახელობის კროსი

28 მაისს სტალინის სახელობის სანაპიროს ქუჩაზე მოეწყო თბილისის გარნიზონის მეთაურთა და მებრძოლთა კროსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3000-მდე სპორტსმენმა. პროგრამაში იყო რბენა ვაჟთათვის 3000 და 1000 მეტრზე და ქალთათვის—500 მეტრზე.

3000 მეტრზე რბენაში I ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა ლეიტენანტმა მ. ნიჩკინმა, II ადგილი—ლეიტენანტმა პ. გორშკოვმა. რბენაში 1000 მეტრზე—I ადგილი კვლავ მ. ნიჩკინმა დაიკავა, ხოლო მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი უფროსი ლეიტენანტი გ. ახვლედიანი. ქალთაგან გამარჯვება მოიპოვეს შაჩენკომ (I ადგილი) და კუბიტკინამ (II ადგილი).

სპარტაკიადა

ვაკეში 28 მაისს შესდგა თბილისის რაიონების სამხედრო კომისარიატების საყოველთაოსავალდებულო სწავლების მე-6 რიგის ქვეგანაყოფებს მეთაურთა და მებრძოლთა მე-5 ტრადიციული სპარტაკიადა. პროგრამაში იყო: ქვეითი გადასვლა 5 კილომეტრზე, სანგრების გათხრა, გრანატების ტყორცნა, ხოხვა, საბრძოლო შაშხანის სროლა, საშწყობრო მომზადება და შაშხანის მატერიალური ნაწილების ცოდნა.

სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის შვიდიე რაიონის გუნდებმა. ყოველი გუნდი შესდგებოდა 37 კაცისაგან. წინასწარი ვარაუდით ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს მოლოტოვის რაიონს.

ქიროვის პარკში

ქიროვის პარკში 28 მაისს სალამოს გრძელდებოდა შეჯიბრებები ფრენბურთისა და კალათბურთში.

კალათბურთში „დინამოს" ვაჟთა გუნდმა მოუგო „ლოკომოტივს", ხოლო წითელი არმიის თბილისის სახლის გუნდმა—ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს.

დეპეშები

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 28 მაისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ბრძოლები იტალიაში შეუნელებლად გრძელდება. ზოგიერთ უბანზე მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევა.

ავიაცია განაგრძობდა გააფთრებულ თავდასხმებს მოწინააღმდეგის ჯარებზე და მის სამხედრო ობიექტებზე.

ფრანგების კრეისერმა წარმატებით დაუშინა მტრის პოზიციებს ანციოს რაიონის ჩრდილოეთით. მტრის ქვემეხები იძულებული გახდნენ ჩაჩუმებულიყვნენ.

რეიტერის საagენტოს ცნობით, ამერიკის მე-5 არმიის ჯარებმა დაიკავეს არტენა, რომელიც ორი მნიშვნელოვანი სამაგისტრალო გზის ჯვარედინზე მდებარეობს. ამჟამად მოკავშირეთა ტანკები წინ მიიწევენ ველეტრისაკენ.

ალჟირი, 28 მაისი (საკდესი). უკანასკნელი ცნობებით, მოკავშირეთა ჯარები ბრძოლებს ეწევიან ვალმონტონის და ველეტრის გარეუბნებში. ფრანგთა ნაწილებმა დაიკავეს კასტრო და ვოლში. მოკავშირეთა პატრულებმა ჩეპრანოში შეაღწიეს.

ნიუ-იორკი, 28 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საagენტოს ცნობით, მოკავშირეთა არტილერია უშენს გერმანელთა პოზიციებს. რომლებიც რომიდან 15 მილზე მდებარეობენ.

ლონდონი, 29 მაისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ მოწინააღმდეგე მთელ თავის ძალებს ძაბავს და წინააღმდეგობას უწევს მოკავშირეთა ჯარებს ვალმონტონველეტრის ხაზზე. მიუხედავად ამისა, ამერიკის მე-5 არმიის ნაწილებმა შესამჩნევად წაიწიეს წინ ველეტრის სამხრეთ-დასავლეთით, სძლევენ მტრის გაზრდილ წინააღმდეგობას და განაგრძობენ მოწინააღმდეგის შეგიწროებას ჩრდილოეთის მიმართულებით. ინგლისის მე-8 არმიის ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს წინ ლირისა და საკოს ხეობაში და დაიკავეს ველმონტე.

28 მაისს ფრანგთა კრეისერი და საესკადრო ნაღმოსანი უშენდნენ მოწინააღმდეგის საარტილერიო ბატარეებს ანციოს ჩრდილოეთით და წარმატებით ჩაახშეს მათი ცეცხლი. მოწინააღმდეგის საარტილერიო პოზიციებზე ხანძრები გაჩნდა და აფეთქება მოხდა. ამავე დროს შემჩნეული იყო, რომ ყუმბარები პირდაპირ მოხვდა მოწინააღმდეგის მოტოტრანსპორტს. 12 მაისიდან სამხედრო ხომალდებმა, რომლებიც ეხმარებიან ხმელეთზე შეტევითს მოქმედებას, ღვიდან 7 ათასზე მეტი საარტილერიო ზალპი მისცეს.

გუშინდელი დღის განმავლობაში მოკავშირეთა ავიაცია ბომბავდა მოწინააღმდეგის ობიექტებს იტალიაში. გამანადგურებელ-ბომბდამშენთა შენაერთები მოქმედებდნენ აგრეთვე მტრის ობიექტების წინააღმდეგ იუგოსლავიაში.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 28 მაისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 27 მაისს ინგლისის 1.000-ზე მეტი ბომბდამშენი თავს დაესხა ობიექტებს გერმანიაში, საფრანგეთსა და ბელგიაში. საერთო ანგარიშით ჩამოყრილ იქნა 4 ათასი ტონა ბომბი.

გერმანიაში იერიშების უმთავრესი ობიექტი იყო ანტენი, ბერლინი და დიუსელდორფი. საფრანგეთში ინტენსიური თავდასხმა მოხდა ნანტის რკინიგზის ცენტრზე და აეროდრომზე რენოში.

დღეს დილით მოკავშირეთა ავიაციამ კვლავ გაიმეორა თავდასხმა სარკინიგზო ნაგებობებსა და სხვა სამხედრო ობიექტებზე ჩრდილოეთ საფრანგეთსა და ბელგიაში.

ლონდონი, 29 მაისი (საკდესი). ინგლისს ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 25 მაისს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავები ინტენსიურად დაეხეთქნენ თავს ანეკრის რკინიგზის კვანძს (საფრანგეთი). დაბომბეს აგრეთვე სამხედრო ობიექტები საფრანგეთის სანაპიროზე და ლუდვიგსჰაფენი (გერმანია). ლუდვიგსჰაფენზე თავდასხმა ძალიან კონცენტრირებული იყო. ამ ობიექტს ბევრი ფუგასური ბომბი დააყარეს. გაჩნდა დიდი ხანძრები.

ამერიკის ავიაცია თავს დაესხა გერმანიის სამგზეველო სანაგრამოებს

ლონდონი, 28 მაისი (საკდესი). როგორც ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, დღეს ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა მეტად დიდმა შენაერთებმა გააფთრებული თავდასხმა მოახდინეს კელნზე და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაზე. ბომბდამშენები მოქმედებდნენ 1.200-ზე მეტი ავიაგამანადგურებელთა თანხლებით.

ინფორმაციის სამინისტროს ცნობით, სულ ამ ოპერაციებში, როგორც სჩანს, 2 500-ზე თვითმფრინავი მონაწილეობდა.

ფინეთის საკონცენტრაციო ბანაკებში საბჭოთა აღამიანებისათვის კაპორღული რეჟიმია შექმნილი

ჟენევა, 27 მაისი (საკდესი). ამა წლის დამდეგს ფინეთის ხელისუფლებამ ვიაწყეს უტოელი ჟურნალისტების ჯგუფის ჩასვლა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის დროებით ოკუპირებულ რაიონებში. ამას წინათ შვეიცარულ გაზეთ „ნოიე ციურხერ ციატუნგის" კორესპონდენტმა ამ გაზეთში გამოაქვეყნა ამ მგზავრობით მიღებული თავისი შთაბეჭდილება. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დაკვირვების შესაძლებლობა მხოლოდ შედარებით თავისუფალი იყო".

კორესპონდენტი ასწერს ერთ-ერთ ბანაკს— პეტროზავოდსკის ბანაკს. სადაც მავთულლობურებს შიგნით იყო „20 ათასი რუსი, რომელთა დიდ უმეტესობას ქალები, ბავშვები და მოხუცები შეადგენდნენ". და აღნიშნავს, რომ „როგორც სჩანს, მდგომარეობა განსაკუთრებით ცუდი იყო". კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „შიმშილისა და ტანსაცმლის უკიდურესი ნაკლებობის გამო ბანაკიდან გაქცევის ცდა ხშირი იყო". ბანაკის ფინელი ადმინისტრაცია სხვადასხვა სახით ატუსაღებს პატიმრებს. ადმინისტრაციას ნებადართული აქვს გაჯოხვაც.

კორესპონდენტი იყო აგრეთვე სამხედრო ტყვეთა ერთ ბანაკში. ეს ბანაკი საერთოდ მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. სწერს იგი. პარტახტიანი ტიფი, რევმატიზმი, გულწასულობა სამუშაოზე—ჩვეულებრივი მოვლენაა. ბევრი ტყვე შიმშილით კვდება. კორესპონდენტი განსაკუთრებით გაოცა საბჭოთა ადამიანების სიმტკიცემ.

ინგლისურ „კომანდოსების" რეიდი კუნძულ ლეროზზე

ლონდონი, 28 მაისი (საკდესი). რეიტერის საagენტო გადმოგვცემს, რომ რამდენიმე დღის წინათ ინგლისის „კომანდოსის" დამკვრელმა რაზმებმა რეიდი მოაწყეს კუნძულ ლეროზზე დალმაციის (იუგოსლავია) სანაპიროსთან.

ლ. ლორთქიფანიძის დამკრძალავი კომისიისადმი

განსვენებული მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება დღეს, 30 მაისს, 5 საათზე, მწერალთა კავშირში (მაჩაბლის ქ. № 13). გამოსვენება 6 საათზე.

თეატრებში

30 მაისს: — სახელმწიფო ოპერა — „ევგენი ონეგინი". რუსთაველის სახელობის — „უდანაშაულო დამნაშავენი". მარჯანიშვილის სახელობის — „პირველი ცოლის მორიგულება". გრიბოედოვის სახელობის — „კრეჩინსკის ქორწინება". სომხური — „შემოსევა". მუსკომედიის—„მზის დაბნელება". ხალკულტურის — „აჯიღლა". მოზარდი მაყურებლის — ქართული — „ორჯონიკიძის ხმალი", რუსული — „ჩექმებიანი კატა". თოჯინების ქართული თეატრი — „ქარიშხალში", „როგორ მიჰყიდა ჰიტლერმა სული ეშმაკს".

ლექცია

31 მაისს, დღის 1 საათზე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქუჩა, № 1) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ი. კაჭარავა წაიკითხავს ლექციას თემაზე: „მცხეთის მიდამოებს გეოლოგია".

კინოებში

30 მაისს: რუსთაველის სახელობის — „ბრძოლა რუსეთისათვის". ოქტომბერი — „დავიდ-ბეგ". დამკვრელი — „3 მუშკეტერი". კომკავშირელი — „სუზე ბატირ". სპარტაკი— „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს". ლუქსემბურგის სახელობის და 26 კომისრის სახელობის — „ის კვლავ დაბრუნდება".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

დაკარგულია თბილისის რკინიგზის ქალთა მე-4 საშუალო სკოლის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ.

ქიშვარდი, ვასო, რისიმე, თინა მამალაძეები, კოლია, ანიკო ლეკავეები იუწყებიან ესმა ქიშვარდის ახალ ანთიძის გარდაცვალებას.

ამიერ-კავკასიის რკინიგზის საბაგშვო ბაღების თანამშრომლები იუწყებიან თამარ ხალარიძის გარდაცვალებას.

შვილები ილარიონ, სამსონ, ნატაშა, ძაბუ, რძლები იუწყებიან გიორგი ფარნაოზის-ასულ მიქელაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31/V, 7½ ს. გამოსვენება 1/VI. 6 ს. ფასანაურის, 16.

მაშო ანჩაბაძე და შალვა დადიანი მწუხარებით იუწყებიან მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ განსახკომის თანამშრომლები იუწყებიან ნატაშა ჩხეიძის დის დოსია ხევსტარეს-ასულ ჩხეიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ თვრინში (ზესტაფონის რაიონი).

კიროვის რაიფინგანის კოლექტივი იუწყება ნიკოლოზ დიმიტრის-ძე სრახელის გარდაცვალებას. პანაშვიდი 31/V, 7 ს. გამოსვენება 1/VI, ათარბეგოვის, 50.

მეუღლე მაშო, შვილები შალვა, ვასო, ცოლშვილით, სონია, მერი იუწყებიან მიხეილ იაკობის-ძე გოგოლაძის გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი თბილისი: ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—1.81.84. სახოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83. სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 УЮ 00177